

ელენე კეკელია

ელენე კეკელია არის ილიას უნივერსიტეტის „მეხსიერების კვლევების კავკასიური ცენტრის წევრი“. მისი კვლევითი ინტერესებია ისტორიული ნარატივები, კოლექტიური მეხსიერება, ქართული ნაციონალიზმი და საბჭოთა კვლევები. სწორედ ამ სამეცნიერო ინტერესებმა განაპირობა მისი არჩევანი შეესწავლა საქართველოში არსებული მე-20 საუკუნის საჯარო მონუმენტები და სხვადასხვა მეხსიერების ადგილები.

2012 წელს ელენეს მიენიჭა სადოქტორო სტიპენდია ილიას უნივერსიტეტისა და ლიტერატურის და კულტურის ცენტრის (ბერლინი) ერთობლივი პროექტის „საქართველოს კულტურული სემანტიკა კავკასიასა და შავ ზღვას შორის“ ფარგლებში. <http://www.zfl-berlin.org/people-detail/kekelia.html>. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ელენეს შესაძლებლობა ჰქონდა რამდენჯერმე (სხვადასხვა პერიოდის განგრძლივებით) წვეოდა ბერლინში არსებულ ცენტრს და ემუშავა პროფ. ზიგრიდ ვაიგელსა და სხვა მკვლევარებთან. 2015 წელს კი ელენემ მოიპოვა კარგენის კვლევითი სტიპენდია და შესაძლებლობა ჰქონდა ემუშავა შემოდგომის სემესტრის განმავლობაში ვირჯინიის უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორ ჯეფრი ოლივთან ერთად. 2016 წლიდან ელენე სწორედ ვირჯინიის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტის დოქტორანტი გახდა. ის ამჟამად პროფ. ჯეფრი ოლივთან ერთად მუშაობს მის ახალ სადისერტაციო ნაშრომზე და სხვა აკადემიურ პროექტებზე.

2015 წელს, „მეხსიერების კვლევების კავკასიური ცენტრის კვლევით ჯგუფთან ერთად, ელენემ განახორციელა ერთ წლიანი კვლევითი პროექტი, რომელიც დაფინანსებული იყო ნორვეგიის საგარეო ურთიერთობების ინსტიტუტის მიერ. 2016 წლის მაისში კი ცენტრის თანამშრომლებთან ერთად, ორგანიზება გაუკეთა მეხსიერების კვლევების სფეროში არსებულ პირველ საერთაშორისო კონფერენციას საქართველოში.

ელენეს დასრულებული აქვს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურები პოლიტიკური მეცნიერებებისა და კულტურის კვლევების განხრით (ფრიბურგის უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამის ჩათვლით). ამჟამად არის ამავე უნივერსიტეტის ინტერდისციპლინარულ კვლევათა მიმართულების დოქტორანტურს დამამთავრებელ საფეხურზე.

გარდა ამისა, ელენეს აქვს აკადემიურ სივრცეში უშაობის მრავალფეროვანი გამოცდილება:

1) ელენე არის ინგლისურენოვანი სამეცნიერო აკადემიური ჟურნალის რედაქტორის თანაშემწე <http://ojs.iliauni.edu.ge/index.php/identitystudies/>; 2) ასევე არის შვეიცარიის კავკასიური აკადემიური ქსელის (ASCN) ალუმნი ქსელის ერთ-ერთი კოორდინატორი; 3) როგორც დოქტორანტი,

კითხულობდა ლექციებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურებზე, აგრეთვე ხშირად იღებდა მონაწილეობას საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში; 4) გამოქვეყნებული აქვს აკადემიური და პუბლიცისტური სტატიები; 5) უწევდა ორგანიზებას სხვადასხვა აკადემიურ დისკუსიებს, საჯარო ლექციებსა და კონფერენციებს.